განკარგულება:**g-81. 8126106001**
თარიღი:**16/04/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №12

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მოწონებული იქნას რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი შემდეგი პროექტები:

1. ღვირიშის ღელესთან ქვათაცვენისგან დამცავი ბადეების მოწყობის სამუშაოები.
2. სოფელ ლეშკედის ავარიული ხიდის დემონტაჟისა და ახლის მოწყობის სამუშაოები.
3. სოფელ ლარჩვალის წყლის საწრეტი არხების მოწყობის სამუშაოები.

მუხლი 2. ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარუდგინოს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს.

მუხლი 3. დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების შესაბამისად მოახდინოს საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა №69).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com